# საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

# განკარგულება №149/2018

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოსაცხადებელი მორიგი საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულების განსაზღვრის შესახებ**

ქ. თბილისი 2018 წლის 13 ივლისი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული გრანტის გაცემის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოსაცხადებელი მორიგი საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებად განისაზღვროს:

„ადგილობრივი მაუწყებელი ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო ცნობიერების ამაღლებისთვის".

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე** **თამარ ჟვანია**

**კომისიის მდივანი** **გიორგი ჯავახიშვილი**